მედიაჯგუფი „აჭარა P.S.“
MEDIAGROUP ``ADJARA P.S.``

გაზეთი „აჭარა P.S.“ * გაზეთი „ჩემი ქობულეთი“ * ტელეკომპანია TV12

სამოყვარულო მოკლემეტრაჟიანი ფილმების კონკურსი „ჩემი სკოლა“ საქართველოს სასკოლო დაწესებულებებისათვის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ტელეკომპანია TV12-აჭარა 2023 წლის 1 მარტიდან
აცხადებს სამოყვარულო მოკლემეტრაჟიანი ფილმების კონკურსს
საქართველოს კერძო და საჯარო სკოლებისათვის სახელწოდებით

„ჩემი სკოლა“

კონკურსის მიზანი: სკოლების სასწავლო-შემოქმედებითი საქმიანობის პოპულარიზაცია, მოზარდებში კინოხელოვნების სიყვარულის გაღვივება, სასკოლო დაწესებულებებს შორის მეგობრული კავშირების განმტკიცება, მომავალი თაობის შესაძლებლობების წარმოჩენა.

კონკურსის ამოცანა: სკოლების პოპულარიზაციის მიზნით მათი სასწავლო-შემოქმედებითი საქმიანობის ფართო მასებთან მიტანა ტელეარხი TV-12-აჭარას საშუალებით.

კონკურსის ხელმძღვანელობა: კონკურსის ორგანიზატორია მედიაჯგუფი „აჭარა P.S.“-ის დირექცია და შემოქმედებითი ჯგუფი, რომელიც ადგენს საორგანიზაციო კომიტეტს, ამტკიცებს კონკურსის დებულებასა და ხარჯთაღრიცხვას, ექსკლუზიური უფლებით ტელეარხი TV12-აჭარა ახდენს კონკურსის გაშუქებას.

მოთხოვნები: კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა არაუგვიანეს 25 მარტისა საორგანიზაციო კომიტეტს უნდა წარმოუდგინონ:

1. სკოლის ისტორიაზე ან მის თანამედროვე ცხოვრებასა და საქმიანობაზე შექმნილი დოკუმენტური ფილმი სრულყოფილი სახით, HD ფორმატში, ზომით: 1080/720
2. ფილმის გადამღები ჯგუფის წევრთა სახელობითი სია, სკოლის სრული დასახელება, დირექტორის სახელ-გვარი, საკონტაქტო პირის ტელეფონის ნომერი.
3. კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი

კონკურსის მიმდინარეობა: კონკურსის თითოეული მონაწილე იღებს მოკლემეტრაჟიან მხატვრულ ან დოკუმენტურ ფილმს თავიანთი სკოლის შესახებ, გადაღება შესაძლოა განხორციელდეს ნებისმიერი ტექნიკური საშუალებით - ფოტო-ვიდეო კამერა, ვიდეოკამერა, მობილური ტელეფონი. ფილმი უნდა ასახავდეს სასკოლო ცხოვრებას და კარგად მოფიქრებული სიუჟეტის

წყალობით ფართო აუდიტორიას აცნობდეს სკოლის წარსულსა თუ დღევანდელობას.

ფილმის ქრონომეტრაჟი არ უნდა აღემატებოდეს 15 წუთს, თითოეული საკონკურსო ფილმის ჩვენება მოხდება ტელეკომპანია TV-12-ის სატელევიზიო ეთერსა და სოციალურ გვერდზე. ჩანაწერი ასევე აიტვირთება მედიაჯგუფი „აჭარა P.S.“-ის ოფიციალურ საიტზე. წარმოდგენილ ფილმებს შეაფასებს სპეციალური ჟიური, რომელიც გამოავლენს ნომინანტებს.

შეფასების კრიტერიუმები: ფილმის მონაწილეთა არტისტიზმი, მეტყველების კულტურა, კითხვის მანერა, ნამუშევრის სირთულე და სიუჟეტის შესაბამისობა სათაურთან, გადმოცემის ტექნოლოგია.

დაჯილდოება: ზემოთ მოცემული კრიტერიუმების მიხედვით სპეციალური ჟიური ახდენს შეფასებას ათბალიანი სისტემით და ავლენს წარმატებულ მონაწილეებს შემდეგ ნომინაციებში:

1. გამორჩეული გახმოვანება
2. გამორჩეული კომპოზიცია - ინტერპრეტაცია
3. გამორჩეული ხედვა
4. გამორჩეული მონტაჟი
5. ჟიურის სიმპათია

ჟიური ასევე ავლენს I,II,III ადგილების მფლობელებს. კონკურსის ყველა მონაწილე სკოლა დაჯილდოვდება მედლით, დიპლომითა და ფასიანი საჩუქრებით.

ფინანსური მხარე: კონკურსის ფინანსური მხარე განსაზღვრულია თანადაფინანსების პრინციპით, გადაცემის მომზადებისა და კონკურსზე წარდგენილი ფილმების გაშვებისათვის საჭირო ყველა აუცილებელ ხარჯს აფინანსებს ტელეკომპანია **TV-12** და მონაწილე სკოლა თანადაფინანსების პრინციპით რომელშიც მონაწილე სკოლის გადასახდელი წილი შეადგენს 300 /სამასი/ ლარს.

ჩვენი რეკვიზიტებია: შპს „გაზეთი აჭარა P.S.“, საიდენტიფიკაციო კოდი: 246955549, ანგარიშის ნომერი: GE86BG0000000959751600, სს „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: BAGAGE22

მისამართი: ბათუმი, დავით აღმაშენებელის ქ.№13; ტელ: (0422) 300 012

ვამტკიცებ მთ. რედაქტორი

ჯემალ მეგრელიძე